



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**



N 15, 2021

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
ოპეკი 2021 წელს ნავთობის მოპოვების ზრდის მთავარ მამოძრავებლებს ასახელებს	2
თურქეთი შავ ზღვაში საძიებო ბურღვით სამუშაოებს იწყებს	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
საქართველოში დენის გამომუშავება 23,7%-ით შემცირდა, მოხმარება კი 19,6%-ით გაიზარდა	3
უზრუნველყოფს თუ არა “ნამახვანჰესი” ქვეყნისთვის უკეთეს ენერგო ტარიფს?	3
განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა.....	4
ევროკომისია აცხადებს, რომ ენერგოეფექტურობა უნდა გავრცელდეს განახლებადი ენერჯის ყველა წყაროზე.....	4
ახალი ევროპული პროექტი წყალბადის საწარმოებლად, 95 გვტ მზისა და 67 გვტ კატალიზის ენერჯით.....	4
კლიმატის ცვლილება.....	5
ჩამონგრეული გვირაბი და შეცვლილი კლიმატი - ჰესების არასწორი დაგეგმარების გამო პასუხისმგებლობა დღემდე არავის აუღია.....	5
Google Earth-ს უკვე შეუძლია გაჩვენოთ კლიმატის ცვლილების შედეგები ბოლო 37 წლის განმავლობაში.....	6
პუბლიკაციები.....	6
ღონისძიებები.....	6

ნავთობი და გაზი

ოპეკი 2021 წელს ნავთობის მოპოვების ზრდის მთავარ მამოძრავებლებს ასახელებს

ოპეკის აპრილის თვის ანგარიშზე დაყრდნობით, “ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი” აქვეყნებს ინფორმაციას მარტის თვეში ნავთობის მსოფლიო მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელიც გაიზარდა 1,22 მილიონი ბარელით/დღეში 93,23 მილიონ ბარელამდე/დღე-ღამეში.

ნავთობის მოპოვების პროგნოზი ოპეკის ორგანიზაციის გარეთ 2021 წლისთვის თითქმის უცვლელია, მცირედი ზრდაა მოსალოდნელი.

მოსალოდნელია, რომ 2021 წელს ოპეკს გარეთ ნავთობის მოპოვების ზრდის მთავარი მამოძრავებლები გახდებიან კანადა, შეერთებული შტატები, ნორვეგია და ბრაზილია, ეკვადორი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, კატარი, გაიანა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ევროპული ქვეყნები, მაშინ როდესაც პროგნოზის თანახმად დაცემამოხდება დიდ ბრიტანეთში, სუდანსა და მალაიზიაში.

2020 წელს ნავთობის მოპოვების საბოლოო მოცულობა ოპეკს გარეთ დაკორექტირებულ იქნა 42 ათასი ბარელით/დღეში. ორგანიზაციის შეფასებით, ეს მაჩვენებელი შემცირდა 2019 წელთან შედარებით 2.52 მილიონი ბარელით/დღე-ღამეში და შეადგინა 62.89 მილიონი ბარელი დღეში.

<https://cutt.ly/9vmoqZw>

თურქეთი შავ ზღვაში საძიებო ბურღვით სამუშაოებს იწყებს

თურქული საბურღი გემი Fatih გაემართა Amasra-1 ბუნებრივი აირის საბადოზე, რომელიც შავ ზღვაში მდებარეობს – იუწყება DailySabah.

თურქეთის ნავთობის ეროვნული კომპანიის ცნობით, გემის დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ, საძიებო ბურღვითი სამუშაოები დაიწყება.

უახლოეს მომავალში Fatih-ს კიდევ ერთი თურქული საბურღი ხომალდი შეუერთდება. პროგნოზების თანახმად, ხსენებული საბადოდან გაზის პირველი ტრანსპორტირდება 2023 წელს განხორციელდება. წინასწარი გათვლებით, ბუნებრივი აირის წლიური მოცულობა 5-10 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს.

<https://energynews.ge/?p=27971>

ელექტროენერგეტიკა

საქართველოში დენის გამომუშავება 23,7%-ით შემცირდა, მოხმარება კი 19,6%-ით გაიზარდა

საქართველოში ელექტროენერჯის გენერაცია შემცირდა. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის მარტში ქვეყანაში გენერირებული ელექტროენერჯის მოცულობამ 661.334 მლნ კვტ-სთ შეადგინა, ეს კი 23,7%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან მარტში საქართველოში მთლიანად 867.133 მლნ კვტ/სთ დენის გამომუშავება მოხდა.

აღსანიშნავია, რომ გენერაციის შემცირების მთავარი მიზეზი არის ქვეყნის მთავარი ჰიდროელექტროსადგურის - ენგურჰესის სარემონტო სამუშაოების გამო გაჩერება. მიუხედავად ენგურჰესის გაჩერებისა, გენერაციაში ყველაზე დიდი წილი მაინც ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. კერძოდ, 2021 წლის მარტში ჰესებმა სულ 475.393 მლნ კვტ/სთ ელექტროენერჯია გამოიმუშავეს, თბოსადგურებმა - 177.037 მლნ კვტ/სთ, ქართლის ქარის სადგურმა - 8.904 მლნ კვტ/სთ.

ამასთან, „ესკოს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, მარტში 17,5%-ით გაიზარდა ელექტროენერჯის მოხმარება და ჯამში 1234.398 მლნ კვტ/სთ შეადგინა. (2020 წლის მარტში - 1050.333 მლნ კვტ/სთ).

<https://cutt.ly/VvmoiAs>

უზრუნველყოფს თუ არა “ნამახვანჰესი” ქვეყნისთვის უკეთეს ენერჯო ტარიფს?

„ნამახვანჰესის“ საშუალო შეწონილი ტარიფი ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაახლოებით იგივეა, რაც ბოლო წლების იმპორტირებული ელექტროენერჯის საშუალო ფასი. ჰესის ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში საშუალო შეწონილი ტარიფი – 5.3 აშშ ცენტი იქნება.

„ნამახვანჰესის“ უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს ე.წ. დღიური რეგულირების სადგურს და შეუძლია დააკმაყოფილოს პიკური მოხმარება დღის და საღამოს საათებში.

სწორედ დღის ამ პერიოდში (პიკური მოხმარების დროს) ფიქსირდება ყველაზე მაღალი ფასი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში – ფასები მერყეობს 7.8 აშშ ცენტის ფარგლებში რუსეთში და 9-11 აშშ ცენტის ფარგლებში თურქეთში, რაც 50-დან 100%-მდე მეტია „ნამახვანჰესის“ საშუალო შეწონილ ფასზე.

<https://energynews.ge/?p=27947>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

ევროკომისია აცხადებს, რომ ენერგოეფექტურობა უნდა გავრცელდეს

განახლებადი ენერჯიის ყველა წყაროზე

ევროპას სჭირდება განახლებადი ელექტროენერჯიის მასიური ზრდა 2030 წლის დეკარბონიზაციის მიზნების მისაღწევად, მათ შორის სუფთა წყალბადის ელექტროლიზატორების წარმოება, განაცხადა ევროკავშირის მაღალმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროპის მწირი რესურსები განახლებადი ელექტროენერჯიის მისაღებად გამოიყენება იქ, სადაც ისინი ყველაზე მეტად არიან საჭირო, ევროკავშირის კლიმატის მიზნები უნდა იყოს მხარდაჭერილი ენერგოეფექტურობის პირველი პრინციპით, - განაცხადა პაულა პინიომ ევროკომისიის ენერგეტიკული დირექტორატიდან.

”ჩვენ გვჯერა, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაგრძელოთ ენერგოეფექტურობის პირველი პრინციპის დაცვა, რათა უზრუნველყოთ ჩვენი შეზღუდული რესურსის მაქსიმალურად გამოყენება,” - თქვა პინიომ ევროპის ენერგეტიკულ გარდაქმნასთან დაკავშირებულ EURACTIV-ის დებატებზე.

ევროკავშირი მიზნად ისახავს ემისიების მინიმუმ ორჯერ შემცირებას 2030 წლისთვის და განულების მიღწევას 2050 წლისთვის. ამის მისაღწევად, ევროპას დასჭირდება ენერჯიის მოხმარებაში ელექტროენერჯიის წილის გაორმაგება. საუკუნის შუა პერიოდისთვის, ევროკომისიის გრძელვადიანი სცენარების თანახმად, ევროპის ენერგეტიკული საჭიროებების 53% დაკმაყოფილება განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან და ბირთვული ენერჯიიდან წარმოებულ ელექტროენერჯიით.

<https://cutt.ly/Evmohau>

ახალი ევროპული პროექტი წყალბადის საწარმოებლად, 95 გვტ მზისა და 67 გვტ კატალიზის ენერჯიით

ევროპის მასშტაბით 30 მსხვილი კომპანია აფუძნებს HyDeal Ambition-ს. ეს არის ღირებულების ჯაჭვი, რომელიც 2030 წლისთვის 1.5 ევრო/კვ ფასის მქონე 100%-ით მწვანე წყალბადის წარმოებას გვპირდება, რაც შეესაბამება წიაღისეული საწვავიდან წარმოებულ "ნაცრისფერი" წყალბადის ამჟამინდელ ფასს.

30 ევროპული კომპანიისგან შემდგარმა კონსორციუმმა წამოიწყო "HyDeal Ambition", პიონერული პროექტი, რომელიც ესპანეთში მდებარეობს და მიზნად ისახავს წყალბადის წარმოებას განახლებადი წყაროებიდან 1.5 ევრო / კვ-მდე ფასად 2030 წლისთვის, გადაცემის და შენახვის ფასის ჩათვლით.

ერთობლივ პრესრელიზში კომპანიები განმარტავენ, რომ მათ HyDeal Ambition-ის დაწყება ოფიციალურად განაცხადეს, ორწლიანი კონფიდენციალური კვლევისა და მომზადების შემდეგ. ინიციატივის დაწყება დაგეგმილია 2022 წელს და მიზნად ისახავს 95 გვტ მზის ენერჯიისა და ელექტროლიზისთვის საჭირო 67 გვტ სიმძლავრის მიღწევას 2030 წლისთვის. ეს ნიშნავს წელიწადში 3.6 მილიონი ტონა მწვანე წყალბადის წარმოებას ენერგეტიკის,

მრეწველობისა და მობილური მომხმარებლებისთვის, რომლებიც მიერთებულნი იქნებიან გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ქსელთან.

ესპანეთში გაზის მთავარი გადამზიდავი და ოპერატორი Enagás განმარტავს, რომ HyDeal Ambition-ის მიზანი ცდება მწვანე ენერჯის მარტივი წარმოების ფარგლებს, რადგან მისი კონკურენტული ღირებულება საშუალებას მისცემს მომხმარებელს მწვანე წყალბადი შესთავაზოს 1,5 ევრო/კვ ფასად 2030 წლისთვის. "ეს არის იგივე ფასი, რაც ამჟამად წიაღისეული საწვავი ღირს", - აცხადებს Enagás.

<https://cutt.ly/wvmoKkG>

კლიმატის ცვლილება

ჩამონგრეული გვირაბი და შეცვლილი კლიმატი - ჰესების არასწორი დაგეგმარების გამო პასუხისმგებლობა დღემდე არავის აუღია

უნდა აშენდეს თუ არა ქვეყანაში დიდი ჰესები ეს კითხვა აქტუალობას დღემდე არ კარგავს. ენერგეტიკოსთა და ეკონომისტთა ერთმნიშვნელოვანი შეფასებით — კი. ეკონომიკურად მომგებიანი ჰიდროპოტენციალი 40 მლრ კვტ/სთ-ს შეადგენს და ქვეყანა მხოლოდ მის 25%-ს იყენებს.

საქართველოში ჰესების მოწინააღმდეგეების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს მშენებარე ან უკვე აშენებულ ჰესებზე მომხდარი ავარიები წარმოადგენს. მათი თქმით, უსაფრთხოების წესები მინიმალურ დონეზე არ არის დაცული და თუ შუახვეჰესის გვირაბის ჩამონგრევის შედეგად მხოლოდ ინვესტორმა იზარალა, კაშხლის ჩამოშლის შემთხვევაში შედეგები კატასტროფული იქნება და ათობით ათასი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. რიონის ხეობაში სწორედ კატასტროფის შიშმა გააერთიანა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისა თუ შეხედულების ადამიანი.

საბჭოთა პერიოდის შემდეგ, დარიალჰესი იყო პირველი, რომლის სიმძლავრემაც 100 მგვტ-ს გადააჭარბა. მისი მშენებლობა 2011 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის დროს დაიწყო. 10 წლის წინ მესამე პრეზიდენტი ჰესების საჭიროებაზე, ენერგოდამოუკიდებლობაზე და ელექტროენერჯის ექსპორტით მისაღებ სარგებლიანობაზე ხშირად საუბრობდა. ანონსებდა ხულონისა და ნამახვანის მშენებლობას, თუმცა 10 წლის შემდეგ საკუთარ ძველ პოზიციებს რადიკალურად დაუპირისპირდა.

გარემოზე მავნე ზემოქმედების ბრალდებით ჰესს მწვანეთა ჯგუფი და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია თავიდანვე დაუპირისპირდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მდინარე თერგის მილებში მოქცევით მხარე ტურისტულ პოტენციალს დაკარგავდა და მიყენებული ზარალი ელექტროენერჯის გენერაციით მისაღებ სარგებელს ბევრად გადააჭარბებდა. კრიტიკის განსაკუთრებული მიზეზი ხდებოდა ის ფაქტი, რომ მთელი 8 კმ-ის მანძილზე ბუნებრივ კალაპოტში თერგის წყლის მხოლოდ 10% რჩებოდა, რაც აღნიშნულ მონაკვეთზე მგრგვინავ მდინარეს ნაკადულამდე აპატარავებდა და წითელ წიგნში შეტანილ კალმახსაც აქრობდა.

<https://commersant.ge/ge/post/hes>

Google Earth-ს უკვე შეუძლია გაჩვენოთ კლიმატის ცვლილების შედეგები ბოლო 37 წლის განმავლობაში

Google Earth საშუალებას გაძლევთ გაეცნოთ პლანეტის გარშემო ტურს თქვენს ბრაუზერში, ხოლო პროგრამის უახლესი ფუნქცია საშუალებას გაძლევთ გადახედოთ დედამიწას მიმდინარე დღიდან 1984 წლამდე - ასე რომ თქვენ ხედავთ როგორ შეცვალა კლიმატის ცვლილებამ დედამიწის სახე ბოლო 37 წლის განმავლობაში.

თავად Google-მა ხაზგასმით აღნიშნა რამდენიმე მიმართულება, რისი გადამოწმებაც გასურთ: მცინვარი კოლუმბია ალიასკაში, მაგალითად, ან მასაჩუსეტსის შტატის ჩათამის გარშემო მდებარე სანაპირო ზოლი. ლეპტოპის საშუალებით შეგიძლიათ იხილოთ ქალაქების გაჩენა და ტყეების გაქრობა თვალის დახამხამებაში.

<https://cutt.ly/lvmoMWH>

პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ტექნიკური ანგარიში ევროკავშირის გათბობის სექტორის დეკარბონიზაციის შესახებ

გათბობისა და გაგრილების სექტორი ევროკავშირის მიერ აღიარებულია, როგორც პრიორიტეტი დეკარბონიზაციისა და ენერგოეფექტურობის მიზნების მისაღწევად. შენობების გათბობა-გაგრილება ევროპაში ენერჯის საბოლოო ჯამური მოხმარების თითქმის 40%-ს შეადგენს. ეს ანგარიში ფოკუსირებულია სითბოს და ელექტროენერჯის სექტორების ინტეგრაციაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეფექტურმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობას და კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებს.

<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/208e7048-b406-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en>

ღონისძიებები

კონფერენცია BEHAVE 2020 - ენერგოეფექტურობა და ქცევა

თარიღი: 21–23 აპრილი, 2021

ორგანიზატორი: კოპენჰაგენის ენერგოეფექტურობის ცენტრი, დანიის ტექნიკური უნივერსიტეტი (DTU) და ქსელი EnR

ადგილი: UN City, კოპენჰაგენი, დანია

<https://www.eceee.org/events/calendar/event/behave-2020-energy-efficiency-and-behaviour-conference/>

ენერგოეფექტურობა ტრანსფორმაციული გადაწყვეტილებებისთვის

თარიღი: 20-21 აპრილი, 2021

ორდღიანი ვირტუალური კონფერენცია

<https://aeevirtual.com/>

ენერგოეფექტურობის დაფინანსების ვირტუალური ფორუმი 2021

თარიღი: 25-26 მაისი, 2021

ორგანიზატორი: ენერგოეფექტური ეკონომიკის ამერიკული საბჭო (ACEEE)

ადგილი: ვირტუალური ღონისძიება

<https://www.eceee.org/events/calendar/event/2020-energy-efficiency-finance-forum/>

ენერგოეფექტური ეკონომიკის ამერიკული საბჭოს (ECEE) 2021 წლის ენერგოეფექტურობის საზაფხულო სკოლა

7-11 ივნისი, 2021

ონლაინ-ღონისძიება

პრეზენტაციები განაწილებულია ცხრა პანელში და მოიცავს ენერგოეფექტურობის საკითხების ფართო სპექტრს:

პანელი 1. ენერგომომხმარება და კეთილდღეობა

პანელი 2. პოლიტიკის ინოვაციები ქმედებათა მასშტაბურობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად

პანელი 3. პოლიტიკა, ფინანსები და მმართველობა

პანელი 4. მონიტორინგი და შეფასება გონივრული, სწრაფი და ინკლუზიური გადასვლისთვის

პანელი 5. ახალი გონივრული სტარტი მდგრადი საზოგადოებისთვის

პანელი 6. ტრანსპორტი და მობილობა

პანელი 7. პოლიტიკა მწვანე აღდგენისათვის შენობების სექტორში

პანელი 8. შენობები: ენერგოეფექტურობის მიღმა მყოფი ტექნოლოგიები და სისტემები

პანელი 9. პროდუქცია, ხელსაწყოები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

<https://www.eceee.org/summerstudy/>

მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

მე-16 კონფერენცია ენერგეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>